პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმა

პეტიციის წარმდგენი პირის საკონტაქტო ინფორმაცია

სახელი	მინდია
გვარი	ფუტკარაძე
მობილურის ნომერი	577500890
ელ. ფოსტა (შევსება არ არის სავალდებულო)	mindiaputkaradze@gmail.com

პეტიციის სახით წარსადგენი საკითხის დასახელება

ბათუმში, ნიკო ჯაყელის ქუჩაზე მიწის შესყიდვისა და რეკრეაციული ზონის (პარკი და სპორტული მოედანი) მოწყობის შესახებ პეტიცია

პეტიციის შინაარსი (შესაბამისი ტექსტი, მოთხოვნა, დასაბუთება)

ჩვენ, ბათუმში, ნიკო ჯაყელის ქუჩის, ფრიდონ ხალვაშის II შესახვევისა და მიხეილ შარაშიძის ქუჩის მცხოვრებლები, მოგმართავთ ბათუმის მუნიციპალიტეტსა და აჭარის მთავრობას თხოვნით, რომ შეისყიდოთ შესაბამისი მიწის ნაკვეთი და გამოიყენოთ იგი საზოგადოებრივი რეკრეაციული ზონის — პარკისა და სპორტული მოედნის — შესაქმნელად.

მოსახლეობა გთავაზობთ შემდეგი საკადასტრო კოდებით მიწის ნაკვეთების განხილვას, ან ალტერნატიული მიწის შეთავაზებას:

22.25.03.291;

05.32.29.083;

05.32.08.493;

05.32.29.094.

ამ ტერიტორიებს ვთავაზობთ პარკისა და სპორტული მოედნისთვის, თუმცა მზად ვართ განვიხილოთ მუნიციპალიტეტისა და აჭარის მთავრობის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სხვა შესაფერისი ალტერნატივაც.

აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია, რადგან უახლოესი პარკი და სპორტული მოედანი 2–3 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, რაც ართულებს ბავშვებისა და მოზარდების წვდომას მათთვის აუცილებელ სარეკრეაციო სივრცეებზე.

03·02·13·3/693
17
02
19 12 2025

ჩვენს უბანში ახლახან აშენდა ძრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, სადაც მრავალი ახალი ოჯახი დასახლდა, ხოლო სპორტული და დასასვენებელი ინფრასტრუქტურა ფაქტობრივად არ არსებობს. აღნიშნულის გამო ბავშვებს ხშირად უწევთ ქუჩასა და გზის სავალ ნაწილთან თამაში, რაც უსაფრთხოების სერიოზულ რისკებს ქმნის. მოსახლეობა აქტიურად გამოხატავს წუხილს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ასეთი გარემო აფერხებს ბავშვების როგორც ფიზიკურ, ისე სოციალურ განვითარებას.

თხოვნით მოგმართავთ, რომ ბათუმის მერიამ და აჭარის მთავრობამ განიხილონ შესაბამისი მიწის შესყიდვის შესაძლებლობა და უზრუნველყონ პარკისა და სპორტული მოედნის მოწყობა, რომელიც მოიცავს საბავშვო ზონას, გამწვანებულ დასასვენებელ ტერიტორიას, საფეხმავლო და სარბენ ბილიკებს, მულტიფუნქციურ სპორტულ მოედანს, სკამებს, განათებასა და უსაფრთხოების კამერებს.

აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს უბნის ეკოლოგიურ მდგომარეობას, ხელს შეუწყობს ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯანსაღ განვითარებას და აამაღლებს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს. მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ საკითხის განხილვის პროცესში.

დამატებითი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პეტიციას შეიძლება თან დაერთოს დოკუმენტები და მასალები, რომლებიც პეტიციის წარმდგენი სუბიექტს პეტიციის დასასაბუთებლად მიაჩნია საჭიროდ.

განცხადებას თან ერთვის მოქალაქეთა ხელმოწერების ფურცლები (ფიზიკურად ჩაბარებული).

ხელმოწერა: